MES 8 20 0000839650

15/09/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 01.09.2020
სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:11სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
საბჭოს მდივანი:ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** -სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
7. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;
8. **ირმა წერეთელი -** გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

9. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
10. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
11. **გაიანე სიმონია** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
12. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
13. **რომეო გალდავა** - სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ნინო პოპიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ხვთისო მამისიმედაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ანა ხითარიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	ოლანი გოცირიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	სოფიო შარაბაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	მერაბ ხოხობაია	(ჩაერთო ,,ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მევენახეობა და ენოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "სამართლის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თანამედროვე ქართული ლიტერატურის და ლიტერატურის თეორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინსიტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში.

საბჭოს წევრთა ინიციატივით მიზანშეწონილად მიიჩნიეს დღის წესრიგის პროექტში ცვლილებების შეტანა და დაამტკიცეს შემდეგი სახით:

1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თანამედროვე ქართული ლიტერატურის და ლიტერატურის თეორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მევენახეობა და ენოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინსიტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში;
4. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "სამართლის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

1. პირველი საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თანამედროვე ქართული ლიტერატურის და ლიტერატურის თეორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	#52 04/04/2018
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფილოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	კვალიფიკაციის კოდი	
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
15	განხორციელების ადგილი	-
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- რომეო გალდავამ.
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს მიერ 2018 წლის 4 აპრილის N52 გადაწყვეტილებით. გადაწყვეტილების მომენტში, აკრედიტაციის საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, განხორციელებულიყო მასზე მონიტორინგი და გადამოწმებულიყო და აკრედიატციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამა „თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია“ განეკუთვნება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის პროგრამას, რომელიც კურსდამთავრებულებს ანიჭებს ფილოლოგიის დოქტორის აკადემიურ ხარისხს. სადოქტორო პროგრამაში გაერთიანებულია ორი მიმართულება: თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია. აღნიშნული მიმართულებები არ არის მოდულებად/ქვედარგებად დაყოფილი, თუმცა დოქტორანტის საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, არჩევითი საგნები შემოთავაზებულია როგორც თანამედროვე ქართული ლიტერატურის, ისე ლიტერატურის თეორიის დარგებიდან.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმება მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტის გარეშე. მონიტორინგის შემოწმების საფუძველია აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობა პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების თაობაზე. საექსპერტო ჯგუფი გაეცნო სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციას და ისინი გაანალიზა 2018 წლის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასთან მიმართებით. ასევე, საექსპერტო ჯგუფმა დაწესებულებიდან გამოითხოვა დამატებითი მასალა. კერძოდ, 2018 წლიდან 2020 წლის ივლისამდე დაცული დისერტაციები/აბსტრაქტები; სადისერტაციო ნაშრომების სავარაუდო თემატიკის ჩამონათვალი; 2018 წლის შემდგომ ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა, სადისერტაციო ნაშრომის სავარაუდო სათაურისა და ხელმძღვანელების მითითებით; დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტების: პროფესორის ასისტენტობისა და სემინარის მომზადებისა და შესრულების დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ექსპერტებმა იხელმძღვანელეს მოქმედი რეგულაციებითა და სტანდარტებით, რომლებიც მოდიფიცირებულ იქნა 2018 წლის შემდგომ. შესაბამისად, აკრედიტაციის ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც არ იყო დაფიქსირებული 2018 წლის დასკვნაში. ექსპერტების მიერ გამოთქმული რეკომენდაციები და რჩევები მოწოდებულია სადოქტორო პროგრამის დახვეწისა და სრულყოფის მიზნით, რათა იგი აკმაყოფილებდეს თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს და ასევე, შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობას.

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თანამედროვე ქართული ლიტერატურის და ლიტერატურის თეორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ: 1.1, 2.1, 2.3, 2.6, 3.1, 4.1, 4.3, 4.4, და 5.2, შესაბამისობაშია, ხოლო 2.5 მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ:

1. კანონში უმაღლესი განათლების შესახებ, თავი VII - უმაღლესი განათლების საფეხურები, მუხლი 46 - აკადემიური უმაღლესი განათლებისა და მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი განათლების საფეხურები, აღნიშნულია: „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს“. აღნიშნული ცვლილება კანონში უმაღლესი განათლების შესახებ შევიდა 2018 წლის 5 ოქტომბერს, წარმომდგენილი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის (04. 04. 2018) შემდეგ. შესაბამისად, მიზანშეწონილია, სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა მოვიდეს შესაბამისობაში კანონთან უმაღლესი განათლების შესახებ (კონსოლიდირებულ ვერსიასთან). კერძოდ, კვლევით კომპონენტში არ იყოს განსაზღვრული 120 კრედიტი, ანუ კვლევითი კომპონენტზე მუშაობა დაწესებულებამ აღარ უნდა გაზომოს კრედიტებში;

2. წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები არის ფართო და ზოგადი, ზოგ შემთხვევაში კი, ნაწილობრივ, ჩამოყალიბებულია აბსტრაქტული ფორმულირებით. უახლესი მიდგომების მიხედვით, მნიშვნელოვანია, რომ სწავლის შედეგები იყოს გაზომვადი და პროგრამის სწავლის შედეგების გასაზომად უნივერსიტეტს ჰქონდეს წინასწარ შემუშავებული მექანიზმები;
3. მნიშვნელოვანია, სწავლის შედეგებში საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადებასთან ერთად ასახული იყოს დოქტორანტების მიერ ადგილობრივი და საერთაშორისო მაღალრეიტინგულ, რეფერირებად გამოცემებში პუბლიკაციების მომზადება; დოქტორანტების მიერ დარგში აღიარებულ ფორუმებში, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა;
4. მნიშვნელოვანია სწავლის შედეგებში აისახოს დოქტორანტის მიერ შესაბამის დარგში სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის დაუფლება. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული სადოქტორო პროგრამის სწავლის მიზნებში აღნიშნულია, რომ პროგრამის მიზანია მეცნიერ-პედაგოგის მომზადება, „რომელსაც ექნება დოქტორის აკადემიური ხარისხი და შესაბამისი კვალიფიკაცია უმაღლესი სკოლის პედაგოგიურ პროცესებში მონაწილეობის მისაღებად“ - რაც, ბუნებრივია, შედეგებშიც უნდა აისახოს;
5. სწავლის შედეგებში მნიშვნელოვანია აისახოს დოქტორანტის მიერ კვლევის ჩატარება სამეცნიერო ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით, რომელიც შემოწმდება უნივერსიტეტის მიერ როგორც ანტიპლაგიატის პროგრამით, ისე სხვა მექანიზმებით;
6. მნიშვნელოვანია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო რეცენზირებადი გამოცემებისა და სასარგებლო ბმულების სარეკომენდაციო სია შედგებოდეს მაღალრეიტინგული სამეცნიერო გამოცემებისგან, მათ შორის, ლიტერატურათმცოდნეობის დარგობრივი გამოცემებისგან.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციათა უმრავლესობა გათვალისწინებულ იქნა ინსტიტუციის მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 2018 წელს გაცემული რეკომენდაციები დაწესებულებამ შეასრულა, რაც შეეხება ბოლო რეკომენდაციებს, აღნიშნული დაკავშირებულია სწავლის შედეგებთან და ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. უნივერსიტეტი ვალდებულია 2021 წლის 30 სექტემბერი - 30 ნოემბერის ფარგლებში წარმოადგინოს თვითშეფასების ანგარიში (როგორც ჰუმანიტარული მეცნიერების ნაწილი) პროგრამის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სადაც განახლებული სახით ჩამოყალიბებული სწავლის შედეგების ნაწილში გათვალისწინებული იქნება მათ შორის წარმოდგენილ დასკვნაში ასახული რიგი რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარე მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ.

დამატებითი კითხვები ან/და კომენტარები საბჭოს წევრებს არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:49
დასრულების დრო: 17: 30

მსჯელობის შედეგად, საბჭოს წევრებმა გამოკვეთეს რიგი საკითხები, რომლებიც საჭიროებდა დამატებით გამოკვლევას და დაზუსტებას, შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ შუამდგომლობა დააყენა საკითხის გადადების შესახებ, რასაც ერთხმად დაეთანხმა სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.

17:30 საბჭოს სხდომა დატოვეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა- ნიკოლოზ კიკნაძემ, დიმიტრი გეგენავამ და თამარ ტუფინაშვილმა.

2. მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მევენახეობა და ენოლოგიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მევენახეობა და ენოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N63 15.07.2015
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მევენახეობა და მეღვინეობის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0888 ინტერდისციპლინური – მოიცავს სოფლის მეურნეობას მეტყევეობას, მეთევზეობასა და ვეტერინარია
12	კვალიფიკაციის კოდი	0888
13	სწავლების ენა	ინგლისური
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი (დ. გურამიშვილის გამზ. N17, ქ. თბილისი, კორპ. N11, 0192, საქართველო)
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა - ზურაბ გვიშიანმა.
საფუძელი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სააკრედიტაციო ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 26 ივნისს სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, პროგრამის შემოწმება განახორციელდა ექსპერტთა 3 კაციანმა ჯგუფმა. ვიზიტის დროს
უნივერსიტეტში იმყოფებოდა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პერსონალი; ასევე ჩატარდა სტუდენტებთან, უნივერსიტეტის პერსონალთან, თუ პროფესორ-მასწავლებლებთან ონლაინ და ცოცხალი ინტერვიუები. ვიზიტის დროს შემოწმდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ - საგანმანათლებლო რესურსები, აუდიოტორიები, საკონფერენციო დარბაზები, ლაბორატორიები, სადეგუსტაციო ოთახი. ვიზიტის დროს შემოწმდა პროგრამის შინაარსი და ცალკეულ სასწავლო დისციპლინებზე დაშვების წინაპირობები, ასევე ინტერვიუ ჩატარდა კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ვიზიტის დროსვე შემოწმდა სამაგისტრო ნაშრომები.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მევენახეობა და ენოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ: 1.1, 2.1, 2.6, 3.1, 3.2, 4.1, 4.2, 4.3, 5.1, 5.2 და 5.3 შესაბამისობაშია, 2.2, 2.3, 2.4, და 2.5 მეტწილად, ხოლო 1.2 ნაწილობრივ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ:

1. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი უფრო დეტალურად უნდა იყოს გაწერილი მეტი ვიზუალიზაციისათვის, რთული რუქაა იყო მოცემული და დეტალურად რომელი სასწავლო კურსის მიზანი რომელ შედეგებზე გადის რთულად აღსაქმელია. შედეგები შეძლებისდაგვარად უნდა დაკონკრეტდეს. ასევე შედეგების შეფასებები მოცემულია ციფრებით 1-2-3, თუმცა დოკუმენტს არ ახლავს განმარტება რომელი ციფრი რას მიუთითებს, განმარტება მხოლოდ გამოგზავნილი იქნა არგუმენტირებული მოსაზრებებში, მეტად უნდა დაკონკეტდეს ესა თუ ის ციფრი რატომ იქნა მინიჭებული. ზოგადად მევენახეობა მეღვინეობა ერთმანეთთან კავშირშია, თუმცა შესაძლებელი კონკრეტული შედეგების გამოყოფა და დაკონკრეტება. ასევე სწავლის შედეგების ანალიზიც არასწორად არის წარმოდგენილი და ცალკეული სასწავლო კურსისათვის არარელევანტურია მოცემული სწავლის შედეგები;
2. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა არის სამაგისტრო, აუცილებელია ისეთი საგნის სწავლება, რომელიც გაუმჯობესებს უნივერსიტეტში არსებული სამაგისტრო ნამუშევრების წერის ხარისხს, ასეთია აკადემიური წერა/ პროექტის წერა, კვლევის მეთოდოლოგია; სადაც დეტალურად იქნება განხილული სამაგისტრო ნამუშევრის სტრუქტურის და კვლევის

მეთოდოლოგიის სწორად დაგეგმვის და შერჩევის თანამედროვე სტანდარტები, განსაკუთრებით ეს ეხება აგრარულ მეცნიერებაში დაგეგმილ კვლევებს, რომლისთვისაც სპეციალური სასწავლო კურსები იქმნება საერთაშორისო უნივერსიტეტებში, რათა სწორად მოხდეს კვლევის დაგეგმვა და ოპტიმალურ დროში მოხდეს შედეგების მიღწევა;

3. მევენახეობაში საველე პრაქტიკისათვის და საწარმო პრაქტიკა ღვინის ქარხანაში სასწავლო კურსებში პრაქტიკის თავისუფალი დრო საკმაოდ დიდია და არ არის დაკონკრეტებული რაზე იწერება თავისუფალი დრო. კერძოდ, პრაქტიკა მეღვინეობაში მოიცავს 45 საათს, ხოლო 78 საათი დამოუიდებელია.

4. გასათვალისწინებელია სილაბუსებში გარკვეული სახეცვლილება, ასევე ადგილი აქვს გარკვეული სასწავლო კურსების საკითხების გადაფარვას. ასევე ზოგიერთ სილაბუსებში გასასწორებელია მოცემული ლიტერატურა ტექნიკურად და ასევე სტილისტურად ყველა მოცემული ლიტერატურა უნდა იყოს ერთგვაროვანი. დეტალური რეკომენდაციები წარმოდგენილია 2.3. რეკომენდაციების ნაწილში ცალკეული მოდულების მიხედვით;

5. ასევე რადგანაც არსებობს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია და ზოგადად ქართული მეღვინეობა მევენახეობის შესახებ ინტერესი მსოფლიოში, აუცილებელია ცალკე საგნად იყოს გაწერილი ქვევრის ღვინის ისტორია, ქვევრის ღვინის სპეციფიკა. სასურველია მოწვეული პრაქტიკოსი ლექტორების მიერ ჩატარებული ლექცია/სემინარებიც ამ საკითხის ირგვლივ. ძირითადი უცხოელი სტუდენტების ინტერესი საქართველოს შესახებ არის ქვევრის ღვინო და ქართული ჯიშები, რაც აუცილებელია რომ შეტანილი იქნას სასწავლო საგნებში უფრო ფართოდ და ასევე სასურველია რომ მეტი სამეცნიერო ნაშრომი გაიწეროს მსგავს თემებზე, რადგანაც მსგავსი თემატიკა აქტუალურია ქართული მევენახეობა - მეღვინეობისათვის. არგუმენტიბული მოსაზრების თანახმად სულ 5 სალექციო თემაში ხდება ქართული მევენახეობა - მეღვინეობის ფართოდ წარმოდგენა;

6. სასწავლო პროგრამისთვის მომზადდეს ბიუჯეტის სრუყოფილი დოკუმენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, კერძოდ:

პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით განმარტა, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი დეტალურად არის გაწერილი. პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც ასახულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე. აგრეთვე კარგად ჩანს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ბმა პროგრამის სწავლის შედეგებთან. რუკაზე აღნიშნულია, რომ ესა თუ ის სასწავლო კურსი რა დონეზე ავითარებს პროგრამის შესაბამის სწავლის შედეგს. რუკაზე წარმოდგენილია შემდეგი აღნიშვნები: 1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება. პროგრამის პირველი და მე-2 დანართები მომზადებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო“- ზე დაყრდნობით. ზემოაღნიშნული დანართებია წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტშიც. პროგრამაში არის 20 სილაბუსი, რომლებსაც აქვთ საკუთარი სწავლის შედეგები. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის დაკავშირება მხოლოდ ერთ სასწავლო კურსთან (როგორც ამას ექსპერტები გვირჩევენ „შესაძლებელია შედეგები გაიზარდოს მათი დანაწევრების ხარჯზე ისე, რომ სტრუქტურა უფრო გასაგები და მარტივად აღსაქმელი გახდეს) არ არის რეკომენდირებული.

შედეგები დაყოფილია 9 ძირითად გამოყოფილ ბულეტად, რომელიც იწყება, - მეღვინეობისათვის ძირითადი ნედლეულის, მისი დარგის - მევენახეობის და მასთან დაკავშირებული, ასევე მიკრობიოლოგიისა და ანალიზების საკითხების განხილვით და თანმიმდევრულად გადადის მეღვინეობის საკითხებში; ყველასათვის კარგად არის ცნობილი,

რომ ზოგადად ნიადაგი, ვენახი, მისი გაშენების თავისებურება და პროდუქტი - ყურძენი, წარმოადგენს ძირითად ბაზას და ნედლეულს ამა თუ იმ კატეგორიის ღვინის წარმოებაში, ხოლო თეორიული ცოდნა წარმოადგენს პრაქტიკული უნარ-ჩვევების საფუძველს. სწორედ ამ მიდგომის გათვალისწინებით სასწავლო კურსი - "მევენახეობა და ვენახის მენეჯმენტის სისტემები", "ნიადაგისა და წყლის მენეჯმენტი" "ვენახის გაშენება და მოვლა", მავნებელ დაავადებები და დაცვის ინტეგრირებული მეთოდები, წარმოადგენს სასწავლო სავალდებულო კურსის საველე პრაქტიკის წინაპირობებს. შესაბამისად თემატურად და საფეხურობრივად რუკაში ეს საგნები აღნიშნულია 1 - გაცნობით და 2 -გაღრმავებით. მაგისტრანტი საველე პრაქტიკის გავლის დროს უკვე მომზადებულია ზემოთ აღნიშნული სავალდებულო სასწავლო კურსების თეორიული ცოდნით და შესაბამისად, საველე პრაქტიკის გავლის დროს იღებს პრაქტიკულ უნარ ჩვევებს. რაც შეეხება მეღვინეობის სფეროს: ვენახის გაშენების, ყურძნის როგორც ნედლეულის შესახებ მაგისტრანტი ცოდნას იღებს, სწავლობს მიკრობიოლოგიის გაძლიერებულ კურსსა და ენოქიმიას, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ღვინის წარმოების საფუძველს. ეს ორი სასწავლო კურსიც, როგორც საფუძველი 1 - გაცნობით არის აღნიშნული, რომელიც არის წინაპირობა სავალდებულო სასწავლო კურსების: "ღვინის წარმოება და საწარმოო სისტემები", "ღვინისა და ტკბილის ანალიზები", რასაც ემატება "ყურძნისეული წარმოშობის დისტილირებული ალკოჰოლური სასმელების წარმოება". ზემოთ ჩამოთვლილი სავალდებულო საგნების თეორიული ცოდნა თავს იყრის ღვინის სენსორულ შეფასებასა და საწარმოო პრაქტიკაში, რომელიც 3 - განმტკიცებით არის აღნიშნული.

1.2 სტანდარტთან მიმართებით არსებულ დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით ინსტიტუციამ აღნიშნა, რომ ისინი მას არ ეთანხმებიან. თუ ექსპერტები კიდევ ერთხელ კარგად გადაიკითხავენ პირველ ბულეტს ხაზგასმით არის ნახსენები: აგროკლიმატური პირობების გავლენა ვაზისა და ღვინის ხარისხზე. ღვინის სენსორული შეფასება მოიცავს არამარტო სადეგუსტაციო შეფასების უნარ-ჩვევების შესწავლას, არამედ სხვადასხვა ჯიშურ არომატებსა და დაავადებების გადასვლას ყურძნიდან ღვინოში (ჯიშური არომატის ქიმიური ბუნება, ჯიშური არომატის ამოცნობა, სხვადასხვა ღვინის ჯიშური არომატის დახასიათება) სავსებით რელევანტურია ყველა სასწავლო კურსის ამ შედეგზე გასვლა, მათ შორის ყურძნისეული წარმოშობის დისტილირებული ალკოჰოლური სასმელების წარმოება - რომელზეც ზრუნვა ღვინის მსგავსად იწყება ვენახიდან. კერძოდ, ამავე სასწავლო საგანში სალექციო კურსი №1 და №2 განიხილავს საკითხებს: ვაზისათვის შექმნილი გარემო და რთველი ნიადაგის შედგენილობა. ბრენდის წარმოებისათვის განკუთვნილი ვაზის ჯიშები. რთველის თარიღის დადგენა. საწარმოო პრაქტიკა, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, არის სეზონური და მაშასადამე იწყება შემოდგომაზე, სადაც პირველი გახლავთ მოსავლის რთველის დადგენა, ნედლეულის ხარისხობრივი შემოწმება, მისი ტექნიკური სიმწიფე, სწორედ რომ ეს არის საწარმოო პრაქტიკის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-5 საკითხები, რომელიც გაწერილია საწარმოო პრაქტიკის სასწავლო კურსის სილაბუსში. რაც შეეხება ,,ცქრიალა ღვინის წარმოების მეთოდებს", ის წარმოადგენს არჩევით სასწავლო საგანს და არ განიხილება როგორც სავალდებულო სასწავლო კურსი.

რაც შეეხება 1.2 სტანდარტთან არსებულ რეკომენდაციას: მსჯელობს მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონებზე, არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად წარმოებულ ტრადიციულ, კლასიკურ და ინოვაციურ პროდუქციის წარმოების თავისებურებებზე, ადგილწარმოშობის დასახელებების რეგიონებსა და მათ მახასიათებლებზე, გავრცელებულ ვაზის ჯიშებსა და აგროტექნოლოგიურ თავისებურებებზე. ამ შედეგზე ვერ გავა ისეთი სასწავლო კურსი, როგორიცაა: ვენახის გაშენება და მოვლა; ღვინის სენსორული შეფასება მოცემულ შედეგზე გავა იმ შემთხვევაში, თუ ღვინის სენსორული შეფასების სასწავლო კურსში გათვალისწინებული იქნება მსოფლიო ღვინის რეგიონების ღვინოების დეგუსტაციები (დასკვნის პროექტი გვ.14), დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია არ ეთანხმება მოცემულ რეკომენდაციას, კერძოდ, სასწავლო კურსი ვენახის გაშენება და მოვლა განიხილავს: სავენახე ნაკვეთის შერჩევის ზოგად საკითხებს,

რომელიც მოიცავს კლიმატს, ნიადაგს, ნიადაგის ასპექტებსა და ნაკვეთის მომზადებას, რომელიც განსაზღვრულია მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობის კანონმდებლობით, ასევე განიხილავს ვაზის ნერგსა და ნერგისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, რომელიც ასევე განიხილება რეგულაციების ჩარჩოში. საყრდენი სისტემა - კონსტრუქციები, მწვანე ოპერაციები რომელიც განიხილება მსოფლიო მევენახეობა -მეღვინეობის ჭრილში. რაც შეეხება ღვინის სენსორული შეფასების სასწავლო კურსს, იგი შედგება სამი ნაწილისაგან: ზოგადი, არომატები და კონკრეტული ღვინოების შეფასება, სადაც შეისწავლება: მსოფლიო ღვინოების მათ შორის, ბრენდის, ცქრიალა, ხერესის, და სხვა ღვინოების მაგალითზე. აქვე შეგახსენებთ, რომ პროგრამა არის მევენახეობა და ენოლოგია, რომლის მიზანია მევენახეობა-მეღვინეობის შესწავლა როგორც ქართული, ასევე მსოფლიო რეგიონების, მათი დამახასიათებელი ღვინოების ტექნოლოგიების გათვალისწინებით, რაც დამატებით მოცემულია სასწავლო კურსში „მსოფლიო ღვინოები და მათი წარმოების მეთოდები".

რაც შეეხება დასკვნის პროექტში ასახულ შემდეგ რეკომენდაციას : აღწერს ყურძნის ტკბილისა და ღვინის ანალიზის მეთოდებს, ყურძნის გადამუშავების დროს მიმდინარე ქიმიურ-ფიზიკურ პროცესებს, მსჯელობს პროცესების მსვლელობისას აუცილებელ გადაწყვეტილებებსა და მათი განხორციელების გზებზე. ამ შედეგზე ვერ გავა ისეთი სასწავლო კურსი, როგორიცაა: ,,საველე პრაქტიკა მევენახეობაში"(დასკვნის პროექტი გვ.15), დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მეღვინე-ენოლოგი ხარისხზე ზრუნვას იწყებს ნიადაგიდან და ვენახიდან, და თანამედროვე ღვინის საწარმოებში თავად მეღვინე აძლევს დირექტივებს მევენახეს, თუ როგორ უნდა განახორციელოს ვენახის ნიადაგის შერჩევა, სქემები, მწვანე ოპერაციები და სხვა. ანუ როგორი ყურძენი უნდა მიიღოს მან არჩეული ტიპის ღვინის დასაყენებლად. შესაბამისად, მევენახე ითვალისწინებს ყველა ამ მითითებას/დავალებას მევენახეობის მენეჯმენტის პრაქტიკული საკითხების განხორციელების დროს. შესაბამისად, არ ვეთანხმებით, რადგან თეორიული ცოდნის საფუძველზე ხორციელდება პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება საველე პრაქტიკის საშუალებით. სწორედ ამ პრაქტიკული სამუშაოების განხორციელების დროს ხდება ყველა იმ დეტალისა დაგეგმვა და პრაქტიკული სწავლება, რომელიც აისახება ღვინის ხარისხზე. ეს უკანასკნელი კი სრულდება ყურძნის ტკბილის ანალიზების ჩატარებით, გადამუშავების დროს მიმდინარე პროცესებით.

დაწესებულება ასევე არ ეთანხმება შემდეგ რეკომენდაციას: ახდენს ყურძნისა და ღვინის დაავადებების იდენტიფიცირებას, მსჯელობს მათი წარმოქმნის მიზეზებზე, შეიმუშავებს მათი აღმოფხვრის გზებს. საერთაშორისო მოთხოვნებისა და სტანდარტების გათვალისწინებით გეგმავს ალკოჰოლური სასმელების დეგუსტაციას. ამ შედეგზე მხოლოდ პირველ წინადადება შეიძლება გავიდეს ისეთი სასწავლო კურსი, როგორიცაა: მევენახეობა და ვენახის მენეჯმენტის სისტემები. დანარჩენი შედეგები არარელევანტურია მევენახეობა და ვენახის მენეჯმენტის სისტემის სასწავლო კურსისათვის (დასკვნის პროექტი გვ. 15-16) ვენახების გაშენება და მოვლის სასწავლო კურსი ამ შედეგზე ვერ გავა. პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ყურძნისა და ღვინის დაავადებების აღმოჩენისა და აღმოფხვრის მიზნით მეტად მნიშვნელოვანია დამზადებული სასმელების დეგუსტაცია, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ამ მიმართულებით სხვა საკითხებთან კავშირში. მხოლოდ „ვენახის გაშენებისა და მოვლის" სასწავლო კურსი ცალკე აღებული, რა თქმა უნდა, ვერ გავა ამ შედეგზე, მაგრამ სხვა საგნებთან ერთად - დიახ. ამ დასკვნის საფუძველს გვაძლევს ისეთი კომპონენტები, რომელიც ისწავლება ამ საგანში და რომელიც პირდაპირ ყურძნის და შესაბამისად, ღვინის დაავადებებზე მოქმედებენ. შესაბამისად, ვენახის მავნებლები, დაავადებები და გარემოს არახელსაყრელი პირობები, საღვინე ყურძნის დამწიფების რაოდენობრივი და ხარისხობრივი პროცესების შეფასება. ყურძნის დაავადებების გამომწვევ ირიბ ფაქტორებად შეძლება განხილული იქნეს არასწორად გაშენებული ვენახი, სადაც არ არის გათვალისწინებული გაბატონებული ქარების მიმართულება და ორიენტაცია მზის მიმართ მაქსიმალური ვენტილაციისა და განათების მისაღწევად; შეუსაბამო საყრდენი სისტემა არასწორის სხვლითა და მწვანე ოპერაციებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ვენახის არასათანადო გადაადგილება სივრცეში, საბურველის ჩახშირება და სოკოვანი

დაავადებების განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა; და ბოლოს - მცენარეთა მოვლის თავისებური ასპექტები ორგანულ მევენახეობაში, სადაც მაქსიმალურადაა შემცირებული გამოყენებული ქიმიური პესტიციდების სახეობები. ამ ხელისშემშლელი საკითხების ცოდნა მაქსიმალურად დაეხმარება მევენახეს შეიმუშაოს მათი აღმოფხვრის გზები.
მნიშვნელოვანია ასევე დასკვნის პროექტში ასახული შემდეგი რეკომენდაცია: მსჯელობს მსოფლიო ალკოჰოლური სასმელების ბაზრის ტენდენციებზე, ბაზრის კვლევის თანამედროვე ინსტრუმენტებზე, კომპანიების სტრუქტურასა და ქვეყნებს შორის არსებულ სავაჭრო შესაძლებლობებზე, დამოუკიდებლად გეგმავს ბაზრის კვლევას, ბიზნესის, ბრენდისა და პროდუქტის განვითარების შესაბამისად კმაყოფილი მომხმარებლის მოზიდვის სტრატეგიას; a. თუ ისეთი სასწავლო კურსი, როგორიცაა ღვინის სენსორული შეფასება გადის ამ შედეგზე, მაშინ სილაბუსში აუცილებლად უნდა მიეთითოს მსოფლიო რეგიონების ღვინოების დეგუსტაციები. (დასკვნის პროექტი გვ.15) აკავშირებს ღვინოს, როგორც უძველეს კულტურას მსოფლიოში ტურიზმის ერთერთი მიმართულების ენოტურიზმის განვითარების და ხელშემწყობ პროდუქტს. აანალიზებს მსოფლიოში ღვინის ტურიზმისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, შეიმუშავებს ღვინის ტურიზმის განვითარების სტრატეგიას, ცნობადობის ამაღლების მიზნით გეგმავს აუცილებელ ღონისძიებებს და აქტივობებს. თუ ისეთი სასწავლო კურსი, როგორიცაა ღვინის სენსორული შეფასება გადის ამ შედეგზე, მაშინ სილაბუსში აუცილებლად უნდა მიეთითოს მსოფლიო რეგიონების ღვინოების დეგუსტაციები. აღნიშნულთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ რეკომენდაციას დაწესებულება არ ეთანხმება, რადგან პროგრამის სახელწოდება მევენახეობა-ენოლოგია არ გახლავთ ვიწრო კონკრეტული ქვეყნისათვის დამახასიათებელი დარგის შემსწავლელი პროგრამა. სათაურიდან კარგად ჩანს, რომ აღნიშნული პროგრამა არის მორგებული მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობაზე, რეგიონებზე, წარმოებული პროდუქციის თავისებურებებზე და შესაბამისად მსოფლიო რეგიონების ღვინოების დეგუსტაციაზე. ქართული ღვინოები შეიძლება განხილული იქნეს, როგორც მსოფლიო რეგიონების ღვინოების ნაწილი, ვინაიდან აქ წარმოდგენილია ბევრი იმ ტიპოლოგიის ღვინო, რომლსაც ვხვდებით მსოფლიო ბაზარზე. ცალკე გამორჩეული ტიპის მსოფლიო რეგიონების ღვინოების დეგუსტაციები წარმოადგენს ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს კურსისას, რომლის განხორციელება იგეგმება ქართულ ღვინოებთან კავშირში.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა არის ინგლისურენოვანი, აპლიკანტი აბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდებს, აგრეთვე მას მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე. აკადემიური წერა ისწავლება საბაკალავრო განათლების საფეხურზე. დამატებით, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს უკვე აქვს 12 წლიანი საშუალო და ოთხწლიანი საბაკალავრო განათლება, რომელიც მოიცავს საკურსო სამუშაოებს, ასევე, სხვადასხვა პროექტებისა და საკონფერენციო თემების დამუშავებას და წარდგენას. ამას ემატება სამაგისტრო განათლების 3 სემესტრი მსგავსი პროექტებით და პრეზენტაციებით. ყველაფერი ეს კი ვფიქრობთ, საკმარისია რომ მაგისტრატურის სტუდენტს ჩამოყალიბებული ჰქონდეს წერის კულტურა და მან შეძლოს თავისი სადიპლომო ნაშრომის გაფორმება შესაბამის დონეზე მისი დიპლომის ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ. აქედან გამომდინარე ვთვლით, რომ დამატებით ამ საკითხის ცალკე საგნად სწავლება აღარ არის საჭირო. გარდა ზემოაღნიშნულისა, უნივერსიტეტს გააჩნია მაგისტრატურის დებულება, რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელთან ერთად დგება პერსონალური სამუშაო გეგმა, კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი და ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია.
გარე შეფასების დოკუმენტთან არსებულ რეკომენდაციასთან მიმართებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ გარე შეფასების დოკუმენტში წარმოდგენილი იყო ექსპერტის შეკითხვა, თუ როგორ ხდება სტუდენტთა დამოუკიდებელი საათების გადანაწილება, რაზეც ფაკულტეტის მიერ გაცემულ იქნა პასუხი, რომ აღნიშნული საათები სტუდენტების მიერ ათვისებულია შემდეგი აქტივობებით: ლიტერატურის დამუშავება, ბიბლიოთეკაში მუშაობა, პრეზენტაციების და დავალებების მომზადება, ჯგუფური მუშაობა თემატიკაზე და ა.შ. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და

სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას (2011 წლის 4 მაისის საქართველოს განათლებისა და მეცნიერებების მინისტრის № 65/ნ ბრძანება).

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ აღნიშნული ვებ გვერდი შეეხება მაგისტრატურის დებულებას, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სქემას და არ არის შემხებლობაში პრაქტიკასთან.

რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა არის ინგლისურენოვანი, ხოლო ზემოაღნიშნული კი ტექნიკური ხარვეზებია შესაბამისად ისინი გავლენას არ ახდენს სწავლის შედეგზე. ამიტომ იგი შეიძლება წარმოდგენილი იყოს არა რეკომენდაციების, არამედ რჩევის სახით. ასევე გასათვალისწინებელია ასეთი ტექნიკური თარგმანის სირთულე, რომელიც ყოველთვის ვერ იძლევა შესაძლებლობას ზედმიწევნითი იქნეს გადმოცემული დეტალები, თუმცა შინაარსობრივად ქართული ვერსია სრულ შესაბამისობაშია ინგლისურ ვერსიასთან.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება არის მევენახეობა და ენოლოგია, და არა „ქართული მევენახეობა-მეღვინეობა". გამომდინარე აქედან, პროგრამაში თანაბრად არის წარმოდგენილი როგორც მსოფლიოს, ასევე ქართული მევენახეობა-მეღვინეობის, ჯიშების, მათი აღწერილობის, ასევე ქართული ტრადიციული ქვევრის ღვინის ტექნოლოგიის თავისებურებები. კერძოდ: სასწავლო კურსის „საღვინე ყურძენი და მსოფლიო მევენახეობის რეგიონები" სალექციო თემები: №4 საქართველოში კულტივირებული ვაზის ჯიშები - ვაზის ჯიშების ჩამონათვალი, აღწერა, დახასიათება, კონტროლირებადი ადგილწარმოშობის მევენახეობის რეგიონები, ზონები და მიკროზონები; სასწავლო კურსის "მსოფლიო ღვინოები და ღვინის წარმოების მეთოდების" სალექციო თემები: №14 - საქართველო - ღვინის სამშობლო, ქართული ღვინის ისტორია, ისტორიულად ჩამოყალიბებული მეთოდები. ქვევრის ღვინო. კახური ღვინო. №15 საქართველოს ღვინოები ადგილწარმოშობის ღვინოები საქართველოში. ქართული ღვინის სტილი, ტიპები და ღვინის დამზადების ტექნიკა; სასწავლო კურსში "ღვინისტურიზმი" სალექციო კურსის თემები: №4 საქართველო და ღვინის ტურიზმი, სადაც განიხილება ქვევრის ღვინის თავისებურება და მიმზიდველობა; სასწავლო კურსს "ღვინისა და სასმელების მარკეტინგის" №15 სალექციო კურსში პროექტი: ევროპა და აზია რეგულაციების შესაბამისად ტრადიციული და სპეციფიკური ალკოჰოლური სასმელების პროფილები და წარმოების თავისებურებები; დამატებით გვინდა აღვნიშნოთ სადიპლომო ნაშრომები, რომლებიც აქამდე იქნა შესრულებული ამ პროგრამის ფარგლებში და ასევე შესრულდება მომავალში, ორიენტირებული იყო და იქნება საქართველოს მევენახეობა და მეღვინეობის საკითხებზე და შესაბამისად - ქართულ ჯიშებსა და ღვინოებზე, ვინაიდან ჩვენი ქვეყნისათვის რაოდენობრივად წამყვანია ქართული ვაზის ჯიშები და მათგან დაყენებული ღვინოები.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა კონკრეტულ სილაბუსებთან დაკავშირებით რეკომენდაციებზე, კერძოდ:

დასკვნაში მოცემული რეკომენდაციასთან დაკავშირებით: მევენახეობა და ვენახის მენეჯმენტის სისტემები სილაბუსში თემების გადაფარვა ხდება: მიზანი: ვენახის გაშენებისას გასათვალისწინებელი აგრიკლიმატური პირობები და მათდამი წაყენებული მოთხოვნები - უკვე გათვალისწინებულია საგანში: ვენახის გაშენება და მოვლა, დაწესებულების წარომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსში „მევენახეობა და ვენახის მენეჯმენტის სისტემები" განიხილება კლიმატი მის ზოგად კონტექსტში, რომელიც ზოგადად განსაზღვრავს მის გავლენას მევენახეობაზე და მის ცვალებადობაზე მოქმედ ფაქტორებს, როგორიცაა მევენახეობის გავრცელება მსოფლიოში, სიმაღლე ზღვის დონიდან, დიდი წყლის მასივების სიახლოვე, დღე-ღამური ტემპერატურის მერყეობა, კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა ზოგადად მევენახეობაზე და ა.შ. საგანში „ვენახის გაშენება და მოვლა" განიხილავს კლიმატს უკვე აღებულ კონკრეტულ ვენახში, კლიმატს უშუალოდ ვაზის გარშემო, რომლის გათვალისწინება უწევს მევენახეს ვენახის გაშენების დროს. და ამას ის აკეთებს ვენახის გაშენების პრაქტიკული

პროექტის შედგენის დროს სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად კავშირში, როგორიცაა ნიადაგი, ფერდობის დახრილობა და მიმართულება მზისადმი. ამიტომაც ამ საგანში ეს საკითხები არის მხოლოდ ქვენაწილი ლექციისა „ვენახის გაშენება: ძირითადი ასპექტები“ განსხვავებით პირველი საგნისაგან, სადაც მას სრული ლექცია ეძღვნება. შესაბამისა, საკითხი ეხება არა განმეორებასთან, არამედ ერთი მთელის ორ ნაწილს.

რაც შეეხება საგანს, ,,ვაზის ანატომია“: დაწესებულება თვლის, რომ ვაზის ანატომია თავისუფლად შეიძლება იქნეს განხილული მევენახეობის სხვა ზოგად საკითხებთან ერთად ამ კურსის ფარგლებში.

სხვადასხვა მევენახეობების მიმართულებების განხილვა: ორგანული და ბიო-ორგანული მევენახეობა და მისი დამოკიდებულება ტრადიციულ მევენახეობასთან განხილულია მე-15 ლექციაში და პრაქტიკულ სამუშაოში. ბიო-ორგანული მევენახეობა იქნება ასევე განმარტებული ამ დროს (ცალკე არ არის გამოყოფილი, ვინაიდან მისი წილი მსოფლიო მევენახეობაში ძალიან მცირეა). კლიმატის ცვლილება განხილულია ლექცია 9-ში. ზუსტი მევენახეობა (ჩვენი თარგმანით „ზედმიწევნითი მევენახეობა“ = Presision viticulture”) განხილულია საგანში „ვენახის გაშენება და მოვლა“ (ლექცია 14).

რაც შეეხება ,,ენოქიმია“ ექპერტების მიერ განსაზღვრული იყო შემდეგი რეკომენდაცია: საერთოდ არ ეთმობა სალექციო დრო ენზიმებს, აზოტოვან ნივთიერებებს, ვიტამინებს, მინერალურ ნივთიერებებს. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ ზემოაღნიშნული თემები განხილულია შემდეგ სალექციო და სასემინარო თემებში: აზოტოვანი ნივთიერებები - სალექციო თემის მეორე საკითხი; ვიტამინები - სასემინარო თემის მესამე საკითხი; მინერალური ნივთიერებები - სალექციო თემის მეორე საკითხი; ამინომჟავები - სასემინარო თემის მეორე საკითხი; პექტინები - სასემინარო თემის პირველი საკითხი და სალექციო თემის მეორე საკითხი; ენზიმები - სალექციო თემის მესამე საკითხი.

დასკვნის პროექტში ასევე რეკომენდაციები გაცემულია ტექნიკურ ხარვეზებთან დაკავშირებით. კერძოდ: სილაბუსის სათაური (ვაზის მავნებელ დაავადებები და ინტეგრირებული დაცვის მეთოდები), ლიტერატურის მითითების ერთი სტილი (ღვინისა და ტკბილის ანალიზის მეთოდები), მითითებულ ლიტერატურაში მცირე ტექნიკური ხარვეზი (ღვინის მიკრობიოლოგიის გაძლიერებული კურსი). ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელი განმარტავს, რომ ეს საკითხები არ ახდენს გავლენას სწავლის შედეგებზე, შესაბამისად მას არა რეკომენდაციის, არამედ რჩევის სახე უნდა ჰქონდეს. აგრეთვე რეკომენდაციასთან: „ქარხანა უკვე მოძველებული სიტყვაა და თანამედროვე ქართულ მეღვინეობაში უმჯობესია გამოვიყენოთ საწარმო“ დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ტერმინი „ღვინის ქარხანა“ შეიძლება ჩანაცვლდეს „ღვინის საწარმოთი“, თუმცა ალბათ უფრო უმჯობესი იქნება ორივე ტერმინის ხმარება, ვინაიდან პრაქტიკულად ჯერ კიდევ ძალიან ბევრი პირი ხმარობს რეალობაში „ღვინის ქარხანას“. ამავდროულად, ინგლისურ სილაბუსში იხმარება Winery, რაც მიღებული ტერმინია ამ ენაზე. ეს საკითხები არ ახდენს გავლენას სწავლის შედეგებზე, შესაბამისად მას არა რეკომენდაციის, არამედ რჩევის სახე უნდა ჰქონდეს.

რეკომენდაციას:ღვინისა და ტკბილისი ანალიზის მეთოდები მითითებულია, როგორც წინაპირობა - პრაქტიკის სილაბუსი არ საჭიროებს ამ წინაპირობას, ინსტიტუცია არ ეთანხმება, რადგან საწარმოში შესულმა მაგისტრმა უნდა იცოდეს საწარმოს ყველა უბანზე მიმდინარე პროცესები. ამიტომ საწარმოს ლაბორატორიაში მაგისტრმანტმა უნდა იცოდეს როგორ იმართება ანალიზის მეთოდები.

არჩევითი სასწავლო კურსებთან დაკავშირებით, ექპერტებმა განსაზღვრეს შემდეგი რეკომენდაცია: სილაბუსში სალექციო თემა არ ეხება ქართული ღვინის ბაზარს, მარკეტინგულ სტრატეგიას, გამოცდილებას, მდგომარეობას, რესურსებს. შესაბამისად, არც წყაროებია. მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს არ არის ქართული ღვინისა და სასმელების მარკეტინგი. როგორც სასწავლო კურსის სალექციო კურსის სახელწოდებიდან ჩანს ეს ეხება მსოფლიო ღვინისა

და სასმელების მარკეტინგს, მათ სტრატეგიას. შესაბამისად მითითებულია მსოფლიო ბაზრის სტრატეგიის, გამოცდილების ამსახველი ლიტერატურა. მსოფლიოს ღვინოები და ღვინის წარმოების მეთოდები.
მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემულ ეტაპზე რთულია დეტალური ბიუჯეტის პროექტის წინასწარ გაწერა. აღნიშნული პროცესი განხორციელდება ეტაპობრივად. ასევე, მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ძირითადი გასავალი და შემოსავალი მათ გაწერილი აქვთ, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც სტუდენტი მიმართავს ფაკულტეტის საბჭოს დამატებითი შეღავათის თხოვნით და ასეთ შემთხვევებში ყოველთვის სტუდენტის სასარგებლოდ წყდება საკითხი.
წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ მოცემულმა პროგრამამ პირველად 2015 წელს გაიარა აკრედიტაცია და მათი რესურსებიდან გამომდინარე მიიღებოდა მხოლოდ 5 სტუდენტი პროგრამაზე. ხოლო, ამჟამად, 5 წლის შემდეგ ისინი აქტიურად აწარმოებენ მოლაპარაკებებს მონპელიეს უნივერსიტეტის ინსტიტუციასთან - „ევროპული სამაგისტრო პროგრამა მევენახეობასა და მეღვინეობაში“, რომლის წევრი არის 10 უნივერსიტეტი და იმედოვნებს, რომ უახლოეს მომავალში მათი უნივერსიტეტიც წევრი გახდება. დღესდღეობით მხოლოდ თანხის პრობლემა აქვთ, რომელიც რაოდენობრივად საკმაოდ დიდია, თუმცა, მოლაპარაკებები მაინც მიმდინარეობს. ამ პროგრამის მხარდამჭერია ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტი.
პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა მობილობის საკითხთან დაკავშირებით და განმარტა, რომ დაწესებულება მუდმივად ახორციელებს ფრანგი სტუდენტების მობილობას.
სტუდენტების რაოდენობასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რაოდენობა გაიზარდა და გახდა 15.

საბჭოს თავმჯდომარე მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ.
საბჭოს წევრმა, მანანა კევლიშვილმა რჩევის სახით აღნიშნა, რომ გარკვეულ სილაბუსებში მნიშვნელოვანია მეტი დოზით იყოს მოცემული ლაბორატორიული სამუშაოები, რისი უნარიც და ტექნიკური შესაძლებლობებიც დაწესებულებას აქვს.
საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა დააზუსტა, თვითშეფასებაში მოცემული ინფორმაცია და აღნიშნა, რომ პროგრამისადმი შეინიშნება ინტერსი და შესაბამისად იზრდება სტუდენტთა რაოდენობა. საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ ვისგან მომდინარეობს ძირითადად ეს დაინტერესება, ქართველი თუ უცხოელი სტუდენტებისაგან. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მრავლად არის პროგრამისთვის დამახასიათებელი სპეციფიური ლაბორატორიები, შესაბამისად, რამდენად არის უნივერსიტეტში საჭირო და აუცილებელი ადამიანური რესურსი.
დაწესებულების წარმომადგენელმა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინსტიტუციას ჰყავს უცხოელი სტუდენტები. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკიდან გამომდინარე, უცხოელი სტუდენტები გადმოდიან არა მარტო მობილობით, არამედ უშუალოდ აბარებენ უნივერსიტეტში მოცემულ პროგრამაზე.
რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ამ კუთხით სიმცირე არ შეინიშნება და ინსტიტუციას ჰყავს გამოცდილი და კვალიფიცირებული კადრები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:45
დასრულების დრო:18: 59

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მევენახეობა და ენოლოგიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ პირველი და მე-2 სტანდარტი განისაზღვრა, როგორც სრულიად შესაბამისია აკრედიტაციის სტანდარტებთან. შესაბამისად, საბჭომ არ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაცია:

1. ასევე რადგანაც არსებობს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია და ზოგადად ქართული მეღვინეობა მევენახეობის შესახებ ინტერესი მსოფლიოში, აუცილებელია ცალკე საგნად იყოს გაწერილი ქვევრის ღვინის ისტორია, ქვევრის ღვინის სპეციფიკა. სასურველია მოწვეული პრაქტიკოსი ლექტორების მიერ ჩატარებული ლექცია/სემინარებიც ამ საკითხის ირგვლივ. ძირითადი უცხოელი სტუდენტების ინტერესი საქართველოს შესახებ არის ქვევრის ღვინო და ქართული ჯიშები, რაც აუცილებელია რომ შეტანილი იქნას სასწავლო საგნებში უფრო ფართოდ და ასევე სასურველია რომ მეტი სამეცნიერო ნაშრომი გაიწეროს მსგავს თემებზე, რადგანაც მსგავსი თემატიკა აქტუალურია ქართული მევენახეობა - მეღვინეობისათვის. არგუმენტიბული მოსაზრების თანახმად სულ 5 სალექციო თემაში ხდება ქართული მევენახეობა მეღვინეობის ფართოდ წარმოდგენა.

საბჭომ ასევე, რეკომენდაციების ნაწილი გადაიტანა რჩევების სახით, კერძოდ:
1. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი უფრო დეტალურად უნდა იყოს გაწერილი მეტი ვიზუალიზაციისათვის, რთული რუქაა მოცემული და დეტალურად რომელი სასწავლო კურსის მიზანი რომელ შედეგებზე გადის რთულად აღსაქმელია. შედეგები შეძლებისდაგვარად უნდა დაკონკრეტდეს. ასევე შედეგების შეფასებები მოცემულია ციფრებით 1-2-3 თუმცა დოკუმენტს არ ახლავს განმარტება რომელი ციფრი რას მიუთითებს, განმარტება მხოლოდ გამოგზავნილი იქნა არგუმენტირებული მოსაზრებებში, მეტად უნდა დაკონკეტდეს ესა თუ ის ციფრი რატომ იქნა მინიჭებული. ზოგადად მევენახეობა მეღვინეობა ერთმანეთთან კავშირშია, თუმცა შესაძლებელი კონკრეტული შედეგების გამოყოფა და დაკონკრეტება. ასევე სწავლის შედეგების ანალიზიც არასწორად არის წარმოდგენილი 5 და ცალკეული სასწავლო კურსისათვის არარელევანტურია მოცემული სწავლის შედეგები. იხილეთ დეტალური რეკომენდაციები 1.2 ნაწილში;
2. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა არის სამაგისტრო, აუცილებელია ისეთი საგნის სწავლება, რომელიც გააუმჯობესებს უნივერსიტეტში არსებული სამაგისტრო ნამუშევრების წერის ხარისხს, ასეთია აკადემიური წერა/ პროექტის წერა, კვლევის მეთოდოლოგია; სადაც დეტალურად იქნება განხილული სამაგისტრო ნამუშევრის სტრუქტურის და კვლევის მეთოდოლოგიის სწორად დაგეგმვის და შერჩევის თანამედროვე სტანდარტები, განსაკუთრებით ეს ეხება აგრარულ მეცნიერებაში დაგეგმილ კვლევებს, რომლისთვისაც სპეციალური სასწავლო კურსები იქმნება საერთაშორისო უნივერსიტეტებში, რათა სწორად მოხდეს კვლევის დაგეგმვა და ოპტიმალურ დროში მოხდეს შედეგების მიღწევა;
3. გასათვალისწინებელია სილაბუსებში გარკვეული სახეცვლილება, ასევე ადგილი აქვს გარკვეული სასწავლო კურსების საკითხების გადაფარვას. ასევე ზოგიერთ სილაბუსებში გასასწორებელია მოცემული ლიტერატურა ტექნიკურად და ასევე სტილისტურად ყველა მოცემული ლიტერატურა უნდა იყოს ერთგვაროვანი. დეტალური რეკომენდაციები წარმოდგენილია 2.3. რეკომენდაციების ნაწილში ცალკეული მოდულების მიხედვით.
4. მევენახეობაში საველე პრაქტიკისათვის და საწარმო პრაქტიკა ღვინის ქარხანაში სასწავლო კურსებში პრაქტიკის თავისუფალი დრო საკმაოდ დიდია და არ არის დაკონკრეტებული რაზე იწერება თავისუფალი დრო;

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტე ბის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მევენახეობა და ენოლოგიის” ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

3. მესამე საკითხი: შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	#221 28.11.2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა
12	კვალიფიკაციის კოდი	0412
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, შატილის ქუჩა N4; ქ. თბილისი, 0178, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა - ირმა წერეთელმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ისაუბრა შესასრულებელ რეკომენდაციებზე, კერძოდ:

1. რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში, უცხო ენის (ინგლისური) ნაწილში ჩანაწერი ,,არასრული კურსი" დაზუსტდეს და გამოცდისგან გათავისუფლდეს ის კანდიდატები, რომლებსაც ინგლისურ ენაზე გავლილი ექნებათ ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სრული კურსი.
2. რეკომენდებულია პროგრამაში, ძირითად სასწავლო კურსების ნაწილში, გათვალისწინებულ იქნას ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IFRS), რომელიც შესაძლებელია სტუდენტებისათვის შეთავაზებულ იქნას სასწავლო კურსის - ,,ფინანსური ანგარიშგება" ფარგლებში.
3. რეკომენდებულია სავალდებულო სასწავლო კურსს ,,ინვესტიციების ანალიზი" წინაპირობად განესაზღვროს რაოდენობრივი ანალიზი.
4. რეკომენდებულია დაწესებულებამ ეფექტიანად გამოიყენოს არსებული საერთაშორისო კონტაქტები და მოახდინოს სტუდენტების წახალისება საერთაშორისო მობილობაში და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის კუთხით.
5. რეკომენდებულია დაწესებულებამ მოახდინოს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის წახალისება საერთაშორისო მობილობაში და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის კუთხით.

ექპერტმა ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, დაწესებულებამ მოახდინა ცვლილებები პროგრამაში, რომელშიც მონაწილეობდა სხვადასხვა დაინტერესებული პირები. კერძოდ, აკრედიტაციის ექსპერთა დასკვნა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შემდგომი რეაგირებისათვის წარუდგინა სამაგისტრო პროგრამის განვითარებაზე მომუშავე ჯგუფს. აღნიშნულმა ჯგუფმა განიხილა აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინების შესაძლებლობები. ამავე ჯგუფის მიერ განისაზღვრა მოცემული რეკომენდაციების საგანმანათლებლო პროგრამაში ასახვის ვადები და პროცედურები. როგორც წარმოდგენილი ანგარიშიდან ირკვევა, პროცესში ასევე მონაწილეობდა პროგრამის ხელმძღვანელები და სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალი. საგანმანათლებლო დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები დაამტკიცა წარმომადგენლობით საბჭოზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19: 09
დასრულების დრო:19:11

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა.
საბჭომ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასებები.

გადაწყვეტილება
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე-2 და 2^{11} პუნქტების საფუძველზე შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

4. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "სამართლის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
აღნიშნულ საკითხზე თვითაცილება განაცხადეს საბჭოს წევრებმა: **ირაკლი ბურდული**; **პაატა ბრეკაშვილი**; **გიორგი თურქია; გაიანე სიმონია**.
თვითაცილების საფუძველი: აღნიშნული პირები იყვნენ 2018 წელის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები.

შესაბამისად, სხდომაზე არ შედგა საბჭოს წევრების კვორუმი და საკითხის განხილვა გადაიდო.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა